პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 სექტემბერი, შაბათი, 1988 წ.
184 (9851) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წარმატების საწინდარია სრულფასოვანი სპორტული რეზერვი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „ძირითად რესპუბლიკურ, საკავშირო სპორტულ ღონისძიებებსა და 1992 წლის XXV ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების მომზადების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ ასპარეზობაში საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. შემუშავებულია და ნაყოფიერად მოქმედებს ახალგაზრდა სპორტსმენთა შერჩევისა და ოსტატობის ამაღლების სისტემები, ინერგება მასობრივი შეჯიბრებების ახალი ფორმები. ოპერატიულად წყდება ნაკრები გუნდების მიზანმიმართულ მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. პირველად შეიქმნა სხვადასხვა სახეობის სპორტის სპეციალიზებული ცენტრები.

დასახული პოზიტიური ძვრების შედეგად რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია წარმატებით გამოვიდა ჭაბუკთა II საკავშირო ასპარეზობაში, სადაც წინა ასპარეზობასთან შედარებით თავისი შედეგები გაიუმჯობესა 20 გუნდმა. ამ ასპარეზობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადებაში დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის, გორის, მახარაძის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ხობის, ვანის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის კოლექტივმა, რომელთა ბაზებზე ეწყობოდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები.

ამასთანავე, ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული ასპარეზობის შედეგებმა გამოავლინა პრობლემები და ნაკლოვანებანი ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციაში, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებაში. ზოგიერთ გუნდში დაუშვეს სერიოზული ხარვეზები სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციაში. ამის შედეგად, ჭაბუკთა I სპორტულ ასპარეზობასთან შედარებით, სამის ნაცვლად შოიპოვეს მხოლოდ ერთი გუნდური გამარჯვება, 13 გუნდში გუაარესდა მაჩვენებლები, ხოლო სპორტის 17 სახეობის წარმომადგენლებმა საერთოდ ვერ შეძლეს გასულიყვნენ საპრიზო ადგილებზე.

სპორტსახკომის, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოების, „დინამოს“ საქმიანობაში გარდაქმნის პროცესი ნელა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ არ არის მაღალკვალიფიციური მწვრთნელთა კადრების მომზადების, უმაღლესი თანრიგების სპორტსმენთა აღზრდის ძირეული პრობლემების გადაჭრაში ურთიერთმოქმედების ზუსტი სისტემა. ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში აღმოფხვრილი არ არის შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის, მორალურ-ეთიკური ნორმების უხეში დარღვევების ფაქტები, მოსდით არსებითი შეცდომები კადრების შერჩევასა და განაწილებაში. ამ ბოლო დროს ცალკეულ სპორტულ მუშაკთა შორის დამკვიდრდა სასურველი შედეგების „მიღწევის“ არაზნეობრივი მეთოდებით პატიოსანი სპორტული მეტოქეობის შეცვლის ნეგატიური ტენდენციები, რაც უარყოფითად მოქმედებს მოზარდი თაობის აღზრდაზე.

ჯერ კიდევ უმნიშვნელოა წვლილი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების [illegible]

იხ. მე.2 გვ.

XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **თენგიზ გაჩეჩილაძე** სეულიდან გვატყობინებს:

ტრადიციის ძალა

იმ დღეს სეულის ოლიმპიურ პარკში მზიანი დილა გათენდა. მაყურებლებმაც დროზე დაიჭირეს თადარიგი და ფინიშის მახლობლად საუკეთესო ადგილები დაიკავეს. თანამედროვე ხუთჭიდელთა ტურნირის ბოლო დღეს საბჭოთა გუნდის ლიდერს ვახტანგ იაგორაშვილს ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა. ამ სპორტსმენის ნებისყოფა და ენინი მართლაც საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. უფერული სტარტის შემდეგ (საცხენოსნო შეჯიბრებაში 24-ე ადგილი) იაგორაშვილმა ფაქტიურად შეუძლებელი შესძლო — ჯერ მაქსიმალურად დაუახლოვდა დაწინაურებულებს და მეოთხე სახეობის — სროლის შემდეგ წინ გავიდა კიდეც.

უკანასკნელი სახეობის — მძლეოსნური კროსის წინ ლიდერთა სამეულის მდგომარეობა ასეთი იყო: ვახტანგ იაგორაშვილი — 4217 ქულა, იანოშ მარტინეკი (უნგრეთი) — 4188 ქულა და კარლო მასულო (იტალია) — 4139 ქულა. თანამედროვე ხუთჭიდში 29 და 78 ქულიანი უპირატესობა ბევრს აფიერს ნიშნავს, მაგრამ იაგორაშვილი წინ იყო და მდგომარეობის გამოსწორებაზე მის კონკურენტებს უნდა ეფიქრათ.

სპორტში არსებობს ტრადიცია, რომელსაც ნებსით თუ უნებლიედ ანგარიშს ყველა უწევს. აი, სწორედ ამ ტრადიციის თანახმად უნგრელსაც და იტალიელსაც კროსში რაღაც უპირატესობა უნდა ჰქონოდათ. ბოლო სამი წლის მანძილზე იაგორაშვილი ერთთანაც და მეორესთანაც რბენას, როგორც წესი, აგებდა, თანაც დაახლოებით 30-40 წამის ფარგლებში.

...როცა ფინიშის ხაზისკენ მომავალი პირველი მონაწილე გამოჩნდა, ბევრმა მასში ვახტანგ იაგორაშვილი ამოიცნო. ისინი, ერთი შეხედვით, თითქოს გვანან კიდეც ერთმანეთს — საბჭოთა ხუთჭიდელი და მარტინეკი. მაგრამ საკონტროლო ხაზთან ახლოს ეს ილუზია გაქრა. ფინიში სხვებზე უფრო ადრე უნგრელმა სპორტსმენმა გადაკვეთა, მას მცირე სხვაობით იტალიელი და საბჭოთა ხუთჭიდელი მოჰყვნენ. ადგილებიც ხუთდღიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: მარტინეკი, მასულო და იაგორაშვილი.

უნგრელი სპორტსმენის გამარჯვება, რა დასამალია და, დამსახურებული იყო. იგი თავიდანვე ლიდერობდა ტურნირს და ღირსეულადაც დაამთავრა იგი. პრეტენზიას ვერც იტალიელ ხუთჭიდელს წავუყენებთ. მასულო მარტინეკთან და იაგორაშვილთან ერთად კარგა ხანია მსოფლიოს უძლიერეს ხუთჭიდელად ითვლება. არც იაგორაშვილსა აქვს რაიმე სასაყვედურო, მით უფრო, რომ ოლიმპიადამდე მას ხუთეულში მოხვედრას უგეგმავდნენ. ქართველმა სპორტსმენმა ვალდებულებას გადააჭარბა კიდეც, მაგრამ...

საქმე ის გახლავთ, რომ იაგორაშვილს, როგორც უკვე ვთქვით, არ გუმართლა სტარტზე. ცუდი ცხენი შეხვდა (სხვათა შორის, ამ ცხენზე ტურნირის სხვა მონაწილეებმა ნულოვანი შეფასება მიიღეს) და მეტად საჭირო ქულები დაკარგა. ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქართველ ხუთჭიდელს საბოლოო ჯამში 125 ქულა მოუგო, ვერცხლის პრიზიორმა კი მხოლოდ — 12. ამ დეფიციტის ანაზღაურება უკეთესი კენჭისყრის პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელი არ იქნებოდა.

რაც შეეხება საბჭოთა ნაკრების სხვა მონაწილეებს, მათი გამოსვლა, უბრალოდ რომ ვთქვათ, სუსტი იყო. გ. იუფეროვმა მხოლოდ 5004 ქულა დააგროვა და მე-20 ადგილი დაიკავა, ა. ავდეევმა კი — 36-ე (4840 ქულა). ცხადია, ასეთი მაჩვენებლებით ჩვენი სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში ვერაფერს გააწყობდნენ. ისინი საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდნენ (15214 ქულა). უნგრეთის, იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის კოლექტივების შემდეგ.

ვახტანგ იაგორაშვილი. საკდეს-საქინფორმის ფოტო.

პირველი საბჭოთა სპორტსმენი, რომელმაც გაიმარჯვა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირში კამანდარ მაჯიდოვი.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

კლასიკური ფინიში

პირველი საბჭოთა სპორტსმენი, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირში, მინსკელი სტუდენტი კამანდარ მაჯიდოვი (52 კგ) გახლავთ. მაგრამ ამ ცნობას მცირე განმარტება სჭირდება.

მაჯიდოვი დმანისშია დაბადებული და ჭიდაობა იქვე, 12 წლის ასაკში დაიწყო. როგორც თვითონ ამბობს, მისი, როგორც სპორტსმენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა... ქართულმა ჭიდაობამ, რომელსაც ბავშვობაშივე დაეუფლა. შემდეგ იგი წარმატებით მონაწილეობდა რესპუბლიკურ ტურნირებში, მაგრამ უკვე როგორც კლასიკური ჭიდაობის წარმომადგენელი.

„სანმუს“ სადემონსტრაციო დარბაზში, სადაც ტურნირი მიმდინარეობდა, მოჭიდავეთა გამოსვლებს გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ოლიმპიადის და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში რომან რურუა, აი, რა აღნიშნა მან:

— მაჯიდოვს დიდი ხანია ვიცნობ და ვაკვირდები, ვინაიდან იგი „ჩემს“ წონაში ჭიდაობს. კარგი მებრძოლია, ტემპერამენტიანი, ტექნიკური, მიზანმსწრაფი. ქვეყნის ნაკრებში პირველად 1984 წელს

იხ. მე.3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

მეორე პარტია

ნ. იოსელიანი — მ. ჩიბურდანიძე

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ∎f3 ∎c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ∎f6 5. 0—0 ♗e7 6. ♖e1 b5 7. ♗b3 0—0 8. c3 d6 9. h3 ∎a5 10. ♗c2 c5 11. d4 cd 12. cd ♗b7 13. d5 ♖c8 14. ∎bd2 ∎h5 15. ♗d3 ∎f4 16. ♗f1 ♕d7 17. b4 ∎c4 18. ∎:c4 bc 19. ♗:f4 ef 20. ∎d2 c3 21. ∎c4 ♗d8 22. ♕g4 f5 23. ♖:f4 fe 24. ♖:e4 ♖c7 25. ♗d3 g6 26. ♗e2 ♖f5 27. ♖:f5 gf 28. ♖ac1 ♗f6 29. ♖ed1 ♖d8 30. a4 f4 31. ♖c2 ♗c8 32. ∎b6 ♗f5 33. ♗d3 ♗:d3 34. ♖:d3 ♖e8 35. ♖d1 ♖e4 36. ♖b1 ♖d4 37. a5 ♖d2 38. ♖bc1 ♗d4 39. ∎g:f1 ∎g:f8 40. ∎a4 ♖c4 41. ∎b6.

პარტია გადაიდო.

თავისუფლად შეიძლება ამ დღეს დრამატული უწოდო. მარილაც, 22 სექტემბერს, მეორე პარტიაში მდგომარეობა ისე დაიძაბა, ისეთი მწვავე პოზიცია შეიქმნა, რომ ამ ორთაბრძოლას სასტარტოს ნამდვილად ვერ უწოდებ. მატჩის პრესცენტრში („საგანგებო ზომების“ მიღება გახდა საჭირო, რომ ჟურნალისტებს მუშაობისთვის ნორმალური პირობები შექმნოდათ. მაგრამ გულშემატკივარსაც ხომ ვერ გაამტყუნებ! რა თქმა უნდა, მას კომპეტენტური ადამიანის — კვალიფიციური მოჭადრაკის, მწვრთნელის, სპეციალისტის მიერ გარჩეული პარტია უფრო აინტერესებს, მხოლოდ „უტყვი“ სადემონსტრაციო დაფა მას ბევრს არაფერს ეუბნება. ქომაგებს კონკრეტულ ვარიანტში სჭირდებათ ღრმა, საფუძვლიანი ანალიზი. დაფაზე ხომ ასეთი საინტრიგო სიტუაცია არის...

მაინც რა მოხდა მეორე პარტიაში? მეტოქეებმა ესპანური პარტიის საკმაოდ კარგად შესწავლილ ე. წ. მარშალის სისტემა გაითამაშეს. ნანა იოსელიანი თავიდანვე ბევრს ფიქრობდა და აკი მონახა კიდეც კარგი გაგრძელება — 22-ე სვლაზე ლაზიერის ძლიერი მანევრით პაიკი მოიგო და საკმაოდ პერსპექტიული პოზიცია შეექმნა. მაგრამ სულ რამდენიმე სვლის შემდეგ პრეტენდენტმა არაზუსტად ითამაშა და მსოფლიოს ჩემპიონმაც არ დააყოვნა — მაია ჩიბურდანიძემ კარგად ისარგებლა მეტოქის „შეფერხებით“, გაცვალა ლაზიერები და, მართალია, კვლავ პაიკის გარეშე იყო, მაგრამ სამაგიეროდ ფიგურები გააქტიურა და c3 უჯრაზე ძლიერი პაიკი დარჩა.

ამასობაში პრეტენდენტს სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩებოდა მოსაფიქრებლად და ამიტომაც გაუჭირდა ძლიერი სვლების მოძებნა. მან საშუალება მისცა მეტოქეს უპირატესობა მიეღო. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. სვლა ჩაიწერა მსოფლიო ჩემპიონმა. სპეციალისტების აზრით ჩიბურდანიძეს უკეთესი მდგომარეობა აქვს, თუმცა იოსელიანი ყაიმის შანსებს ინარჩუნებს.

დავით ბელიძე,
ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური.

წარმატების საწინდარია სრულფასოვანი სპორტული რეზერვი

(დასასრული)

ლფასოვანი რეზერვის მომზადებაში. ზშირად მათ საქმიანობაში ჭარბობს ვიწროსაუწყებო ინტერესები, არ აღმოფხვრიან პარალელიზმს, სახელმწიფო სახსრების გაფანტვას.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, ნათქვამია დადგენილებაში, საქმის მდგომარეობა რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებში, რომლებშიც დაკომპლექტება, სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა არ შეესაბამება ამგვარი პროფილის სასწავლებელთა ელემენტარულ მოთხოვნებს. უფრო მეტიც, ჩვეულებრივი გახდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკითხებზე მთავრობის არაერთგზისი გადაწყვეტილებების შესრულების ვადების დარღვევა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების მხრივ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებისადმი მომთხოვნელობის შესუსტება კვლავ უარყოფითად მოქმედებს სრულფასოვანი სპორტული რეზერვის მომზადებაზე. უაღრესად არადამაკმაყოფილებლად ეწევიან მუშაობას ქალაქების ტყიბულის, მარნეულის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გეგეჭკორის, მარნეულის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ცაგერის, წალენჯიხის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს რაიონების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციები, რომლებმაც ოთხი წლის მანძილზე არ წარმოადგინეს არც ერთი სპორტსმენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. ცუდად არის საქმე აგრეთვე აბაშის, ამბროლაურის, ვანის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ქარელის, კასპის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, ონის, თიანეთის, წალკისა და წულუკიძის რაიონებში, რომლებმაც არც ერთი სპორტსმენი არ წარმოადგინეს ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ ასპარეზობაზე.

დამაკმაყოფილებლად ცნო რა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ ასპარეზობაზე საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის გამოსვლების შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საორგანიზაციო კომიტეტს რეკომენდაცია მისცა შეიტანოს ნაწილობრივი ცვლილებანი 1989 წლის IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ ასპარეზობაში და 1991 წლის სსრ კავშირის ხალხთა X საზაფხულო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციების მოსამზადებელი კომიტეტის შემადგენლობაში და განაგრძოს მუშაობა ამ შეჯიბრებებში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წარმატებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. აღინიშნა, რომ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი მძლეოსნობაში, კრივისა და ტანვარჯიშის სახეობებში სპორტული პროფილის ექსპერიმენტული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების შესაქმნელად.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალთ განიხილონ ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ ასპარეზობაში შესაბამისი რეგიონების სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები და განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა დაძლიონ სერიოზული ნაკლოვანებანი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის განვითარების საქმეში.

(საქინფორმი).

როგორც ვიუწყებოდით, 11 სექტემბერს მოსკოვში, ძველ არბატზე, „ქალაქის დღის" ზეიმის პროგრამით მოეწყო ერთდროული საჰადრაკო სეანსი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს საუკეთესო მოჰადრაკე ქალები და ვაჟები. საქართველოს მოჰადრაკეებმა გაიმარჯვეს 140 პარტიაში, 18 პარტია წააგეს, 17 კი ყაიმით დამთავრდა.

სურათებზე: სვლას აკეთებს ნანა ალექსანდრია; ნონა გაფრინდაშვილი სეანსის დროს.

მ. თარხან-მოურავის ტელეფოტო.

ოცინდალე, ოცინდალე

ოცინდალეს ეკლესია მთელ სამეგრელოს გადაჰყურებს. ტაძრის ძირითადი ნაგებობა მე-13 საუკუნით თარიღდება. არქეოლოგებმა მე-4 საუკუნის მშენებლობაც აღმოაჩინეს.

ეკლესია მაღალ, დაქანებულ ფერდობზეა გაშენებული და ხშირად ნისლით იფარება.

რამდენიმე წლის წინათ ეკლესიამდე სამანქანე გზაც გაიყვანეს, მაგრამ მრავალრიცხოვანი მნახველი მაინც ფეხით მიუყვება ციცაბო ფერდობს. მათ შორის, რა თქმა უნდა, ტურიზმის მოყვარულებიც არიან. ეკლესიას აკრავს გაშლილი მინდორი, სადაც სპორტული შეჯიბრებების ჩატარება შეიძლება. აქვე, ახლოს უფსკრულია აღმოჩენილი, რომელსაც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ლუგელას ხეობაში არსებულ კარსტულ მღვიმეებთან აქვს მიწისქვეშა კავშირი.

ლუგელას ხეობა განუმეორებელი სილამაზისაა. ანკარა ცოცხალ ჭალები მრავალსაუკუნოვანი ბზის კორომითაა დაფარული.

ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიურის დღეებში ჩხოროწყუს კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს (თავმჯდომარე გ. ახალაია) „ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტის თაოსნობით ქალაქ ზუგდიდის და ჩხოროწყუს რაიონის ახალგაზრდობის მონაწილეობით ოცინდალეს მთაზე ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოეწყო. ტურისტულ-სპორტული შეჯიბრებების გარდა ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, მშობლიური მხარის გაცნობასაც ითვალისწინებდა.

ლაშქრობის მონაწილენი ჩხოროწყუში შეიკრიბნენ და რაიონის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერეს, ხოლო ოცინდალეს მთის დალაშქვრა სოფელ თარიდან დაიწყეს. ტურისტები ეკლესიასთან ახლოს დაბანაკდნენ. აქ მოეწყო ცხენებით გასეირნება, შეხვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, საღამოს კი დიდი კოცონი გაანთეს, სადაც ვიქტორინა გაიმართა. ისაუბრეს სპორტის, ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის საინტერესო საკითხებზე, გამართეს კონცერტი.

მეორე დღე სპორტულ პროგრამას დაეთმო. გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთში, მინიფეხბურთში, ჭადრაკში, ბაგირის გადაძალვაში...

— ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიურის დღეებში ასეთი ღონისძიების ჩატარება მეტად მნიშვნელოვანია, — თქვა ზუგდიდის პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების თავმჯდომარემ ვიტალი ჭურღულიამ.—მან კიდევ უფრო დაახლოვა მეზობელი ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდები. ბევრი პირველად მიდიოდა ტურისტული ბილიკით. გაუჭირდათ კიდეც, მაგრამ როცა ოცინდალეს მთიდან გადმოიხედეს, დაღლილობა დაავიწყდათ და აქტიურად ჩაერთვნენ შეჯიბრებებში.

ზუგდიდელმა და ჩხოროწყუელმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს მსგავსი შეხვედრები ტრადიციად დაამკვიდრონ.

ნუგზარ ძვანია,
„ლელოს" საკ. კორ.

ხვალ ვის შეეხიზნებიან?

საქართველოში რეგბი საკმაო პოპულარობით სარგებლობს. მართალია, ისეთით არა, როგორითაც ფეხბურთი ან კალათბურთი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჩვენს ქვეყანაში რეგბისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება.

თბილისში თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელს ჰყავს რეგბის გუნდი. მათ შორისაა პოლიტექნიკური ინსტიტუტიც, სადაც რეგბის ორი გუნდია. ამ გუნდების საუკეთესო მოთამაშეები გაერთიანებული არიან პოლიტექნიკურის ნაკრებში, რომელიც საკმაოდ წარმატებით ასპარეზობს წლევანდელ სეზონში. პოლიტექნიკოსები არც ადრე ირცხვენდნენ თავს — სამი წლის განმავლობაში (1978-1980) ისინი საქართველოს თასს ფლობდნენ და მრავალი პრიზი და სპატიო სიგელიც მოუპოვებიათ. 80-იანი წლების დასაწყისში გუნდმა დროებით დათმო პოზიციები, მაგრამ 1983 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტები თბილისის ჩემპიონები გახდნენ.

დღეისათვის გუნდში თაობათა ცვლის რთული პროცესი მიმდინარეობს. გუნდის პერსპექტივაზე და სხვა საკითხებზე გავესაუბრეთ სპი-ს რეგბისტთა გუნდის მწვრთნელს ლაშა გეგენავას.

⊙ რა ხანია, რაც გუნდის გაახალგაზრდავება დაიწყო და შეძლებს თუ არა გადახალისებული შემადგენლობა ძველი შედეგების გამეორებას?

— თაობათა ცვლა შარშან დაიწყო. შევიმატეთ ძალზე პერსპექტიული ახალგაზრდები და მათი დიდი იმედი გვაქვს. მომავალში, რა თქმა უნდა, ტრადიციების აღდგენას ვაპირებთ, ვეცდებით ისე ვითამაშოთ, როგორც ეს 1979-80 წლებში იყო. ჩვენი მიზანია, ტოლი არ დავუდოთ არც ერთ სტუდენტურ გუნდს თბილისსა თუ საქართველოში.

⊙ წლევანდელი სეზონი წარმატებით დაიწყეთ...

— დიახ. თბილისის პირველობაზე საკმაოდ ძლიერი გუნდები გამოდიან, ასე რომ, მეორე ადგილი ურიგო შედეგი არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ გუნდი ეს-ესაა ყალიბდება.

⊙ ვინ ჩამოაყალიბა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რეგბის გუნდი?

— ამ გუნდის ჩამოყალიბების თაოსანი გელა მიქაბერიძე გახლდათ. იგი დღესაც დიდ დახმარებას უწევს გუნდს და ამიტომაა, რომ ასე ვემადლიერებით მას. დახმარებისა და ხელშეწყობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგეს ლევან ჩხოკვაძეს.

⊙ სტუდენტურ გუნდს, ალბათ, პრობლემებიც აწუხებს...

— რა თქმა უნდა. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა ის არის, რომ ჩვენ სასწავლებელს საკუთარი მოედანი არა აქვს. მართალია, თბილისში არის რეგბის მოედნები, მაგრამ ყველას თავისი პატრონი ჰყავს, ჩვენ კი გვჭირს სავარჯიშო ადგილის პოვნა. არადა, ისეთ ინსტიტუტს, როგორიც პოლიტექნიკურია, საკუთარი მოედანი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. არის სხვა პრობლემებიც: ძალიან გვიჭირს, მაგალითად, მაისურების და ბურთების შეძენა. ფიზიოლოგიის კათედრა მხარში კი გვიდგას, მაგრამ იგი ყველაფერს, ცხადია, ვერ გასწვდება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც ქართულ და საბჭოთა რეგბის არაერთი კარგი რეგბისტი აღუზარდა, ნამდვილად იმსახურებს მეტ ყურადღებას.

გამოვემშვიდობე ლაშა გეგენავას და გულდაწყვეტილმა გავხედე ბიჭებს: დღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდის წევრები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოედანზე ვარჯიშობენ, ხვალ ვის შეეხიზნებიან, თვითონაც არ იციან.

სოსო მამადაშვილი,
სპი-ის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის სტუდენტი.

რედაქციისაგან: **დღესდღეობით საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან გუნდები ჰყავთ უნივერსიტეტს, სამხატვრო აკადემიას, პოლიტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებს, აგრეთვე, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. თავისთავად იბადება კითხვა: ხომ არ დადგა დრო, რეგბი რესპუბლიკური უნივერსიადის პროგრამაში შევიტანოთ? მით უფრო, რომ ერთხელ, 1983 უკვე ჩატარდა სტუდენტთა რესპუბლიკური შეჯიბრება.**

სტარტზე — ჯანმრთელობისათვის

იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომლებსაც მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აქარის საოლქო საბჭო ატარებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯანმრთელობის სპარტაკიადას. მასში ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე რაიონისა და ქალაქის სხვადასხვა ასაკის 1000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო მინიფეხბურთი, ფრენბურთი, შაში და მშდ-ის მძლეოსნური მრავალჭიდი.

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ხელვაჩაურის რაიონის ნაკრები გუნდი. მისმა წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს მინიფეხბურთსა და შაშში, მეორე ადგილები დაიკავეს ფრენბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა, ხოლო მშდ-ის მრავალჭიდელები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

— ხელვაჩაურელთა ეს წარმატება შემთხვევითი არაა, — თქვა პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აქარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ა. მეგრელიძემ. — საქმე ისაა, რომ უკანასკნელ წლებში ამ რაიონში დიდი ყურადღება მიექცა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. პირველ რიგში ამ საქმით დაინტერესდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, რადიკალურად გარდაქმნეს მუშაობა სპორტის მესვეურებმა, სათანადო დონეზეა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა. და აი, შედეგიც: პირველ საოლქო ჯანმრთელობის სპარტაკიადაში — პირველი ადგილი.

სპარტაკიადაზე მეორე იყო ბათუმელთა გუნდი, ხოლო ქობულეთის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა.

მართალია, პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების გუნდები, მაგრამ სპარტაკიადაზე მათი სრული შემადგენლობებით მონაწილეობა თავისთავად მიღწევაა. ჯანმრთელობის სპარტაკიადა ხომ მხოლოდ ტექნიკური შედეგებისა და გუნდური ადგილებისთვის არ ეწყობა, მას უფრო დიდი მიზანი აქვს — მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცება.

ლევან ძაძეარაძე.
„ლელოს" საკ. კორ.

ბათუმი.

XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

კლასიკური ფინიში

(დასასრული)

შეიყვანეს და იმავე სეზონში ევროპის ჩემპიონი გახდა. ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიო პირველობა მოიგო. კამანდარი ოლიმპიადის ღირსეული ჩემპიონია და მჯერა, რომ იგი სხვა გამარჯვებებსაც მოიპოვებს.

ღირსეული ჩემპიონი რომ არის, ეს მისმა ფინალურმა შეხვედრამაც ცხადყო. წინასწარ ბრძოლებში წარმატების შემდეგ იგი მთავარ ფავორიტს, ბულგარელ ივკო ვანგელოვს შეხვდა. დიდხანს ანგარიში ფრე იყო — 2:2, მაგრამ ბრძოლის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე საბჭოთა ათლეტმა ეფექტური გდება გააკეთა და 3 ქულა დაიმსახურა, რამაც მას ოლიმპიური გამარჯვება მოუტანა.

კლასიკოსთა შეჯიბრების ბოლო დღეს ოქროს მედალი კიდევ სამმა საბჭოთა ათლეტმა — ლევონ ჯულფალაკიანმა (68 კგ), მიხეილ მამიაშვილმა (82 კგ) და ალექსანდრე კარელინმა (130 კგ) მოიპოვა. ჯულფალაკიანს და მამიაშვილს ფინალური ბრძოლის მოგება არ ჭასჭირვებიათ. ჩოქმჯენში დაგროვილი ქულები შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნეს, აი, კარელინს კი დიდი ჯაფა დაადგა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბულგარელმა რანგელ გუროვსკიმ სამქულიანი გდება შეასრულა. საბჭოთა ათლეტმა შეხვედრის მიწურულს შეძლო ანგარიშის გათანაბრება ძირითადად იმის გამო, რომ ბულგარელი პასიურობდა და უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობდა. საფინალო სასტვენის წინ კი კარელინი დაწინაურდა და გამარჯვებაც მოიპოვა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა მოხდა 100 კგ წონით კატეგორიაში. აქ მთავარ ფავორიტებად ორი მსოფლიო ჩემპიონი — გურამ გედეხაური (სსრ კავშირი) და ტამაშ გაშპარი (უნგრეთი) ითვლებოდა, ოქროს მედალი კი ნაკლებად ცნობილმა პოლონელმა ანჯეი ვრონსკიმ დაისაკუთრა. ფავორიტები უძლიერესთა ექვსეულშიც კი ვერ მოხვდნენ. გედეხაური მეშვიდე ადგილზე დარჩა, გაშპარი კი მერვეზე.

გთავაზობთ ოლიმპიადის პრიზიორთა სამეულებს:

48 კგ. 1. ვინჩენცო მაენცა (იტალია), 2. ანჯეი გლომბი (პოლონეთი), 3. ბრატან ცენოვი (ბულგარეთი).

52 კგ. 1. იონ რონინგენი (ნორვეგია), 2. აცუჰი მიახარა (იაპონია), 3. ლი ჩეე სუკი (სამხრეთ კორეა).

57 კგ. 1. ანდრაშ შენკე (უნგრეთი), 2. სტოიან ბალოვი (ბულგარეთი), 3. ხარლამბოს წოლიდისი (საბერძნეთი).

62 კგ. 1. კამანდარ მაჯიდოვი (სსრ კავშირი), 2. ივკო ვანგელოვი (ბულგარეთი), 3. ან დე იუნი (სამხრეთ კორეა).

68 კგ. 1. ლევონ ჯულფალაკიანი (სსრ კავშირი), 2. კიმ სონ მუნი (სამხრეთ კორეა), 3. ტაპიო სიპილა (ფინეთი).

74 კგ. 1. კიმ ენ ნამი (სამხრეთ კორეა), 2. დაულეტ ტურლიხანოვი (სსრ კავშირი), 3. იოჭეფ ტრაჩი (პოლონეთი).

82 კგ. 1. მიხეილ მამიაშვილი (სსრ კავშირი), 2. ტიბალ კომარომი (უნგრეთი), 3. კიმ სან კიუ (სამხრეთ კორეა).

90 კგ. 1. ათანას კომჩევი (ბულგარეთი), 2. ჰარი კოსკელა (ფინეთი), 3. ვლადიმერ პოპოვი (სსრ კავშირი).

100 კგ. 1. ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი), 2. გერჰარდ ჰომეილი (გფრ), 3. დენის კოზლოვსკი (აშშ).

130 კგ. 1. ალექსანდრე კარელინი (სსრ კავშირი), 2. რანგელ გუროვსკი (ბულგარეთი), 3. თომას იოჰანსონი (შვეცია).

აი, როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის:

	I	II	III
სსრ კავშირი	4	1	1
ბულგარეთი	1	3	1
სამხრეთ კორეა	1	1	3
პოლონეთი	1	1	1
უნგრეთი	1	1	—
იტალია	1	—	—
ნორვეგია	1	—	—
ფინეთი	—	1	1
იაპონია	—	1	—
გფრ	—	1	—
საბერძნეთი	—	—	1
აშშ	—	—	1
შვეცია	—	—	1

როგორც ხედავთ, საბჭოთა მოჭიდაკეებმა გუნდური პირველობა შეინარჩუნეს. ბევრმა ქვეყანამ ადრინდელი მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმაჯეთა. ეს, პირველ რიგში, ოლიმპიადის ფასპინძლებზე ითქმის. სამხრეთ კორეას ხუთი პრიზიორი ამ დონის ტურნირზე არასდროს ჰყოლია.

სულ ოლიმპიური მედლები 13 ქვეყნის ათლეტებმა მოიპოვეს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ბევრი ჯილდო საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად.

ოლიმპიადის დღიური

ჩოგბურთი. პირველ ტურში წარმატების შემდეგ ლეილა მესხს კენჭისყრამ ყველაზე ძლიერი მეტოქე არგუნა — მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი, დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი. შეხვედრის შედეგი, ცხადია, ეჭვს არ იწვევდა და გრაფმა გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ქართველ ჩოგბურთელს პირველი პარტია უბრძოლველად არ დაუთმია — 5:7. მომდევნო პარტია კი დასავლეთგერმანელმა ადვილად მოიგო — 6:1. მეორე ტურში დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა ანდრეი ჩერკასოვიც. მას ამერიკელმა ბ. ჯილბერტმა აჯობა — 6:4, 1:6, 6:1, 6:2. (ადრე, როგორც ვიუწყებოდით, ა. ვოლკოვი და ა. ჩესნოკოვიც დამარცხდნენ).

ლეილა მესხი

ძალოსნობა. ოლიმპიადის პრესცენტრში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ სოკ-ის სამედიცინო კომისიამ ოლიმპიურ ჩემპიონს ბულგარელ მიტკო გრაბლევს (56 კგ) სისხლში აკრძალული პრეპარატის ფეროსემიდის კვალი აღმოუჩინა. ეს სადოპინგო რეჟიმის აშკარა დარღვევა იყო. ბულგარეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა გრაბლევი დელეგაციის შემადგენლობიდან გამოიყვანა და უკან სამშობლოში გაგზავნა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გააუქმა გრაბლევის შედეგი და გამარჯვება საბჭოთა ძალოსანს ოქსენ მირზოიანს მიაკუთვნა, რომელსაც 56 კგ წონაში ვერცხლის მედალი ჰქონდა მოპოვებული. მომდევნო ადგილებზე გასული სპორტსმენებიც, შესაბამისად, თითო საფეხურით დაწინაურდნენ. დღეს, შაბათს ამ წონაში პრიზიორთა ხელახალი დაჯილდოება მოხდება.

ფს. მე-4 გვ.

ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჰაერაკო მემორიალი

გამარჯვება დიდოსტატის ნორმით

ვიქტორ გოგლიძის მემორიალის ბოლო, XI ტურში თბილისელ საერთაშორისო ოსტატ ელიზბარ უბილავას მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმის (6,5 ქულა) შესასრულებლად. ამ ტურში მისი მეტოქე ახალგაზრდა იუგოსლავიელი საერთაშორისო ოსტატი ზდენკო კოჟული იყო.

მეტოქეებმა გრიუნფელდის დაცვის ერთ-ერთი თანამედროვე აქტუალური ვარიანტი გაითამაშეს. უბილავა დებიუტშივე შეეცადა პოზიციური უპირატესობის მოპოვებას და ამ მიზნით მე-13 სვლაზე მეტოქეს პაიკი შეწირა, სამაგიეროდ ცენტრში აქტიურად განლაგა თავისი პაიკები, განავითარა ფიგურები და მეტოქის მეფის ფრთაზე შეტევა წამოიწყო. კოჟული იძულებული. შეიქნა მიტელშპილში პაიკი უკან დაებრუნებინა, სანაცვლოდ ლაზიერები გაცვალა და ყრუ დაცვაზე გადავიდა, თუმცა მის ბანაკში სოლივით შეჭრილი d6 პაიკი თეთრებს უპირატესობას უნარჩუნებდა. პარტიის დასკვნით ნაწილში უბილავამ დიდი ოსტატობით ითამაშა და მეტად საჭირო ქულა მოიპოვა.

ამ გამარჯვებით უბილავამ მეორედ შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა და მას (აგრეთვე ზ. აზმაიფარაშვილსაც) ამ წოდებას ფიდე ნოემბერში, თავის უახლოეს კონგრესზე მიანიჭებს. სასიხარულოა, რომ ქართველ დიდოსტატ ვაჟთა არც თუ ისე დიდ ოჯახს კიდევ ერთი ღირსეული წევრი შეემატა ელიზბარ უბილავას სახით. ჩვენც ვუერთდებით ყველა მის თაყვანისმცემელს და ვულოცავთ ელიზბარს ამ დიდ წარმატებას.

ელიზბარ უბილავა



ვალენტინ ლუკოვი

დიდოსტატის ნორმა შეასრულა ბულგარელმა საერთაშორისო ოსტატმა ვალენტინ ლუკოვმაც, რომელიც ამ ტურში სწრაფად, მე-12 სვლაზე დაუზავდა ჩეხოსლოვაკიელ საერთაშორისო ოსტატ ედუარდ პრანდშეტერს.

დანარჩენი პარტიები ასი დამთავრდა: ზაიჩიკ-ნოვიკოვი — 0,5:0,5, რომანიშინი-კონკუესტი — 0:1, გუფელდი-შნაპიკი — 0:1.

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს. I-II. ელიზბარ უბილავა, ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი) — 6,5-6,5 ქულა, III. ალექსანდრე შნაპიკი (პოლონეთი) — 6, IV-VI. გენადი ზაიჩიკი, ოლეგ რომანიშინი, სტიუარტ კონკუესტი (ინგლისი) — 5,5-5,5, VII. მიხეილ ტალი — 5, VIII-IX. იგორ ნოვიკოვი, ედუარდ პრანდშეტერი (ჩეხოსლოვაკია) — 4,5-4,5, X. ედუარდ გუფელდი — 3, XI. ზდენკო კოჟული (იუგოსლავია) — 2,5.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შევხვდი და ვესაუბრე გამარჯვებულებს.

ელიზბარ უბილავა: უპირველეს ყოვლისა მიზნად ვისახავდი საერთაშორისო დიდოსტატის ნორმის მეორედ შესრულებას. პირველად იგი 1985 წელს ჩეხოსლოვაკიის ღია პირველობაზე შევასრულე. ამის შემდეგ კარგი შესაძლებლობა მქონდა წელს, მაისში რუმინეთის ქალაქ ეფორია-ნორდში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მართალია, იქ პირველი ადგილი დავიკავე, მაგრამ, სამწუხაროდ, ნორმის შესასრულებლად მხოლოდ ნახევარი ქულა დამაკლდა. გადავწყვიტე ამ შეჯიბრებაშიც მეცადა ბედი. ვთამაშობდი დაუძაბავად, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც კარგად არ ვიყავი მომზადებული. ყველაზე საუკეთესო პარტიად დავასახელებდი იგორ ნოვიკოვთან ნათამაშევ პარტიას.

აქვე, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ გულშემატკივარს, რომელთა მხარდაჭერას მთელი ტურნირის განმავლობაში ვგრძნობდი. მინდა აგრეთვე მივულოცო ჩემს კოლეგას ვალენტინ ლუკოვს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმის შესრულება.

ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი): დიდი სიხარულით მივიღე მოწვევა, რადგან საქართველოში ერთხელაც არ ვყოფილვარ, თუმცა საბჭოთა კავშირში ხშირად მიხდებოდა ჩამოსვლა. დიდოსტატის ნორმა აქამდე ორჯერ მქონდა შესრულებული, მაგრამ მხოლოდ კოეფიციენტი არ მიწყობდა ხელს მის მინიჭებაში. ძალზე მიხარია, რომ ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება შევძელი.

მეც მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ელიზბარ უბილავას დიდოსტატის ნორმის შესრულება.

აქვე მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით, ყველა მონაწილის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო საორგანიზაციო კომიტეტს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

რა შეიძლება ითქვას კიდევ ამ შეჯიბრების შესახებ? რა თქმა უნდა, იგი ძალზე საინტერესო გამოდგა. კარგად ითამაშეს ალექსანდრე შნაპიკმა (საერთაშორისო დიდოსტატის ნორმამდე მხოლოდ ნახევარი ქულა დააკლდა), გენადი ზაიჩიკმა და სტიუარტ კონკუესტმა. უფრო მეტს მოველოდით საერთაშორისო დიდოსტატ ოლეგ რომანიშინისა და მსოფლიო ექსჩემპიონ მიხეილ ტალისგან, რომლებსაც სპეციალისტები ტურნირის დასაწყისში პირველი ადგილის მოპოვების მთავარ პრეტენდენტებად თვლიდნენ. სამწუხაროდ, ძალზე სუსტად ითამაშა საერთაშორისო დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა. მან მთელი ტურნირის. მანძილზე მხოლოდ 1 პარტია მოიგო და 4 ყაიმით დაამთავრა. რაც შეეხება იუგოსლავიელ საერთაშორისო ოსტატ ზდენკო კოჟულს, მართალია მან მხოლოდ 2,5 ქულით დაამთავრა ტურნირი, მაგრამ ეს ქულები ოთხ დიდოსტატთან შეხვედრაში მოაგროვა (დაამარცხა მ. ტალი და ე. გუფელდი, ყაიმს მიაღწია ო. რომანიშინთან და დამარცხდა გ. ზაიჩიკთან).

ვასილ ვაშაკიძე.

ფყალბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა

უძლიერესთა ოთხეულში

ჩვენში ქალთა წყალბურთი სულ უფრო ფართოდ ინერგება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ წლეულს საკავშირო პირველობაში დებიუტი ჰქონდათ პირველი ლიგის გუნდებს, რომლებმაც უკვე დაამთავრეს ბრძოლები. მათგან უმაღლესი ლიგის საგზურს კრასნოდარის „ნივა“ დაეუფლა და გაისად უძლიერესთა შორის იბრძოლებს. ეს პირველობა კი წლეულს მეოთხედ ტარდება.

დღეს საუბარი გვექნება სწორედ უმაღლესი ლიგის ბინადართა საკავშირო პირველობაზე, რომელშიც თბილისის „ივერიაც“ მონაწილეობს.

ამ შეჯიბრებამ წლეულს მარტში აიღო სტარტი. პირველი წრის შეხვედრები, როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, ნაწილობრივ ზაპოროჟიეში ჩატარდა. იქ მოსკოვის „უნივერსიტეტმა“ და გორკის „სალიუტმა“ ყველაზე მეტი — 8-8 ქულა მოაგროვა, ხოლო „ივერია“ და მოსკოვის სკიფ-ის გუნდი მათ თითო ქულით ჩამორჩნენ.

ამის შემდეგ საკავშირო პირველობაში ხანგრძლივი შესვენება დაიწყო და ბრძოლები მხოლოდ ახლა განახლდა. ამჯერად მასპინძლის როლში თბილისის ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის აუზი (საირმის ქუჩაზე) მოგვევლინა.

აქ უკვე გაიმართა პირველი წრის დანარჩენი ორ-ორი შეხვედრა. პირველ დღის მატჩები ასე დამთავრდა: „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — „სტრელა“ (ზაპოროჟიე) — 12:8, „სალიუტი“ (გორკი) — „მედეო“ (ალმა-ათა) 10:3, „ურალოჩკა“ (ზლატოუსტი) — სკიფ-ი (მოსკოვი) — 9:9, ხპი (ხარკოვი) — „ივერია“ 3:7. მეორე დღის შეხვედრებმა კი ასეთი შედეგები მოგვცა — „სალიუტი“ — „უნივერსიტეტი“ 7:8, „მედეო“ — „ურალოჩკა“ 3:8, სკიფ-ი — სპი 9:4, „სტრელა“ — „ივერია“ 5:12.

„უნივერსიტეტს“ ყველაზე მეტი — 12 ქულა დაუგროვდა, „ივერიას“ — 11, „სალიუტსა“ და სკიფ-ს 10-10.

ახლა, მეორე წრეში, ეს უძლიერესი ოთხეული იმავე აუზში კვლავ წრიული სისტემით აგრძელებს პირველობისთვის ბრძოლას, ოღონდ თითოეული მათგანი ყველფერს თავიდან, 0 ქულით იწყებს. მათ შორის პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი, მესამე ტურში ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო მესამე-მეორე ადგილებზე გასულნი ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ. ეს შეხვედრები მეორე წრის დამთავრებისთანავე კვლავ თბილისში გაიმართება.

იმედია, მასპინძლები (ქეთინო გვანცელაძე, ვიქტორია ივანოვა, ინა მელოიანი, ტატიანა ჩერნიშოვა, მარიკა ხიზანიშვილი, ალა მარგიევა, ნატალია აზატიანი, რუსუდან გვანცელაძე, თამარ ლაშქარაშვილი, სუსანა მელოიანი, ნონა ეკიზაშვილი, მედეა ჯაბადარი, ია კორაშვილი) კვლავ აღმავლობით ითამაშებენ და საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თავს არ შეირცხვენენ.

ავთანდილ ჭუკიშელი.

XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

ოლიმპიადის დღიური

(დასასრული)

შეხვედრები. III და IV ქვეჯგუფებში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. III ქვეჯგუფი: არგენტინა — სამხრეთ კორეა 2:1 (1:1), სსრ კავშირი — აშშ 4:2 (3:0). სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობა: ხარინი, ლოსევი, გორლუკოვიჩი, კეტაშვილი, იაროვენკო, კუზნეცოვი, ი. სავიჩევი, დობროვოლსკი (იანონისი), მიხაილიჩენკო (ბოროდიუკი), ლიუტი, ნარბეკოვასი. გოლები გაიტანეს: მიხაილიჩენკომ (2), ნარბეკოვასმა და დობროვოლსკიმ.

სსრ კავშირი	3	2	1	0	6_3	5
არგენტინა	3	1	1	1	4_4	3
სამხ. კორეა	3	0	2	1	1_2	2
აშშ	3	0	2	1	3_5	2

IV ქვეჯგუფი. ბრაზილია — იუგოსლავია 2:1 (1:0), ავსტრალია — ნიგერია 1:0 (0:0).

ბრაზილია	3	3	0	0	9_1	6
ავსტრალია	3	2	0	1	2_3	4
იუგოსლავია	3	1	0	2	4_4	2
ნიგერია	3	0	0	3	1_8	0

25 სექტემბერს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: სსრ კავშირი — ავსტრალია და ბრაზილია — არგენტინა.

კალათბურთი. ქალები. სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 69:66 (33:35), ბულგარეთი — ავსტრალია 57:63 (30:31), იუგოსლავია — აშშ 74:101 (40:55), ჩეხოსლოვაკია — ჩინეთი 64:68 (36:36).

ველოსპორტი. გამოვლინდნენ სპრინტერთა ტურნირის ნახევარფინალისტები. ვაჟთა შორის ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ: ნიკოლოზ კოვში (სსრ კავშირი) — ედვარ ალექსანდრი (ინგლისი) და ოლიმპიური ჩემპიონი ლუც ჰესლიჰი (გდრ) — ჰარი ნეივანდი (ავსტრალია). ქალებში: მსოფლიო ჩემპიონი ერიკა სალუმიაე (სსრ კავშირი) — კონი პარასკევი (აშშ) და კრისტა როტენბურგერი (გდრ) — იზაბელ გოტერონი (საფრანგეთი).

კრივი. უსიამოვნო ინციდენტი მოხდა მჩატე წონის მოკრივეების ბიუნ იონ ირისა (სამხრეთ კორეა) და ალექსანდრე ხრისტოვის (ბულგარეთი) შეხვედრის შემდეგ. მსაჯთა ბრიგადამ ამ ბრძოლაში გამარჯვება ბულგარელ სპორტსმენს მიაკუთვნა. განაწყენებულმა გულშემატკივრებმა ცემა-ტყეპა აუტეხეს მსაჯებს და რინგი, ფაქტიურად, გადათელეს. დამარცხებულმა კორეელმა მოკრივემ კი პროტესტის ნიშნად არ დატოვა სარბიელი მთელი 67 წუთის განმავლობაში. სხვა შეხვედრები ამ დღეს აღარ ჩატარებულა.

სამოყვარულო კრივის ასოციაციამ ამასთან დაკავშირებით სხდომა მოიწვია და დამნაშავეები მკაცრად დასაჯა. სამხრეთ კორეის გუნდის ხუთი ოფიციალური პირი და ტექნიკური მუშაკი ოლიმპიადიდან დაითხოვა (მათ ბრალად ედებათ ახალზელანდიელი მსაჯის კეიტ უოლკერის გალახვა). დისკვალიფიცირებულია აგრეთვე სამხრეთკორეელი მოკრივე. გამარჯვება ხრისტოფს მიეკუთვნა.

წყალბურთი. გფრ — საფრანგეთი 10:9. იტალია — სამხრეთ კორეა 11:1, სსრ კავშირი — ავსტრალია 11:4, საბერძნეთი — ჩინეთი 10:7, ესპანეთი — აშშ 9:7, იუგოსლავია — უნგრეთი 10:9, მორიგი შეხვედრა საბჭოთა წყალბურთილებმა საფრანგეთის გუნდს მოუგეს ანგარიშით 18:4.

მედლები

ოლიმპიური თამაშებზე გუნდური შედეგების რეგისტრაცია ოფიციალურად არ სწარმოებს, სამაგიეროდ მედლების რაოდენობას ყველა ქვეყანა ითვლის. აქამდე გათამაშებული მედლების 52 კომპლექტი დელეგაციებს შორის ასე განაწილდა:

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
1. სსრ კავშირი	14	3	11
2. გდრ	6	7	6
3. აშშ	5	4	4
4. ბულგარეთი	4	5	3
5. უნგრეთი	4	3	1
6. გფრ	3	3	4
7. ინგლისი	2	3	3
8. იტალია	2	2	1
9. იუგოსლავია	2	0	1
10. ჩინეთი	1	4	4
11. სამხრეთ კორეა	1	3	3
12. პოლონეთი	1	2	1
13. ავსტრალია	1	2	0
14. რუმინეთი	1	2	0
15. ჩეხოსლოვაკია	1	1	0
16. ახ. ზელანდია	1	0	2
17. თურქეთი	1	0	0
18. ნორვეგია	1	0	0
19. სურინამი	1	0	0
20. შვეიცარია	0	2	2
21. იაპონია	0	2	1
22. საფრანგეთი	0	1	1
23. ფინეთი	0	1	1
24. კოსტა-რიკა	0	1	0
25. ჰოლანდია	0	1	0
26. ბელგია	0	0	1
27. საბერძნეთი	0	1	1

ჩემპიონები



ელენა შუშუნოვა (სპორტული ტანვარჯიში)

მიხეილ მამიაშვილი (კლასიკური ჰიდაობა)

ბორის პოლიანსკი (ცურვა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის ტაბლო

21 სექტემბერი.

ფარიკაობა. *რაპირა.* **ვაჟები. პირადი პირველობა.** 1. სტეფანო ჩერიონი (იტალია); 2. უდო ვაგნერი (გდრ); 3. ალექსანდრე რომანკოვი (სსრკ).

ძალოსნობა. 67,5 კგ. 1. ანგელ გენჩევი (ბულგარეთი) — **362,5 კგ;** 2. იოახიმ კუნცი (გდრ) — 340; 3. ისრაილ მილოტოსიანი (სსრკ)— 337,5.

სპორტული ტანვარჯიში. ქალები. გუნდური პირველობა. 1. სსრკ — 395,475 ქულა; 2. რუმინეთი — 394,125; 3. გდრ — 390,875.

22 სექტემბერი.

სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები. მრავალჭიდი. პირადი პირველობა. 1. ვლადიმერ არტიომოვი (სსრკ) — 119,125 ქულა; 2. ვალერი ლიუკინი (სსრკ) — 119,025; 3. დიმიტრი ბილოზერჩევი (სსრკ) — 118,975.

თანამედროვე ხუთჭიდი. პირადი პირველობა. 1. იანოშ მარტინეკი (უნგრეთი) — 5 404 ქულა; 2. კარლო მასულო (იტალია) — 5 379; 3. ვახტანგ იაგორაშვილი (სსრკ) — 5 367. **გუნდური პირველობა.** 1. უნგრეთი — 15 886 ქულა; 2. იტალია — 15 571; 3. დიდი ბრიტანეთი — 15 276; ...5. სსრკ — 15.214.

ფარიკაობა. *რაპირა.* **ქალები. პირადი პირველობა.** 1. ანია ფიჩტელი; 2. საბინა ბაუ; 3. ციტა ფუნკენჰაუზერი (ყველა — გფრ).

ცხენოსნობა. სამჭიდი. პირადი პირველობა. 1. მარკ ტოდი (ახალი ზელანდია) — 42,60 საჯ. ქ; 2. იან სტარკი (დიდი ბრიტანეთი) — 52,80; 3. ვირჯინია ლენგი (დიდი ბრიტანეთი) — 62,00. **გუნდური პირველობა.** 1. გფრ — 225,95. საჯ. ქ; 2. დიდი ბრიტანეთი — 256,80; 3. ახალი ზელანდია — 271,20.

ტყვიის სროლა. ვაჟები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. „3X40" სტანდარტი+10 გასროლა. 1. მალკოლმ კუპერი — 1279,3 ქულა; 3. ალისტერ ალანი (ორივე — დიდი ბრიტანეთი) — 1275;6; 3. კირილ ივანოვი (სსრკ) — 1275,0 ...6. გრაჩია პეტიკიანი (სსრკ) — 1272,2.

ძალოსნობა. 75 კგ. 1. ბორისლავ გიდიკოვი (ბულგარეთი)— 375,0 კგ; 2. ინგო შტეინჰოფელი (გდრ) — 360,0; 3. ალექსანდრე ვირბანოვი (ბულგარეთი) —357,5.

ცურვა. 100 მ, გულაღმა. ქალები. 1. კრისტინ ოტო (გდრ) — 1.00,89; 2. კრისტინა ედერშეგი (უნგრეთი) — 1.01,56; 3. კორნელია სეჩი (გფრ) — 1.01,57. **400 მ, თავისუფალი სტილი. ქალები.** 1. ჟანეტ ევანსი (აშშ) — 4.03,85; 2. ჰაიკე ფრიდრიჰი (გდრ) — 4.05,94; 3. ანკე რემინგი (გდრ) — 4.06,62. **ესტაფეტა 4X100 მ, თავისუფალი სტილი. ქალები.** 1. გდრ — 3.40,63; 2. ჰოლანდია— 3.43,39; 3. აშშ — 3.44,25; ...5. სსრკ — 3.44,69. **100 მ, თავისუფალი სტილი, ვაჟები.** 1. მეტ ბიონდი (აშშ) — 48,63; 2. კრისტოფერ ჯეკობსი (აშშ) — 49,08; 3. სტეფან კარონი (საფრანგეთი) — 49,62; 4. გენადი პრიგოდა (სსრკ)— 49,75; 5. იური ბაშკატოვი (სსრკ) — 50,08. **200 მ. გულაღმა. ვაჟები.** 1. იგორ პოლიანსკი (სსრკ) — 1.59,37; 2. ფრანკ ბალტრუჰი (გდრ) — 1.59,60; 3. პოლ კინგსმანი (ახალი ზელანდია) — 2.00,48; 4. სერგეი ზაბოლოტნოვი (სსრკ) — 2.00,52.

ველოსპორტი. ტრეკი. ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 4 კმ-ზე. ვაჟები. 1. გინტაუტას უმარასი (სსრკ) — 4.32,00; 2. დინ ვუდსი (ავსტრალია) — 4.35,00; 3. ბერნდტ დიტერტი (გდრ) — 4.34,17.

23 სექტემბერი.

სპორტული ტანვარჯიში. ქალები. მრავალჭიდი. პირადი პირველობა. 1. ელენა შუშუნოვა (სსრკ) — 79,662; 2. დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 79,637; 3. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ) — 79,400; ...5. ნატალია ლაშჩიონოვა (სსრკ) — 78,875.

ტყვიის სროლა. ვაჟები. „გაქცეულ ტახზე" სროლა. 30+30+10 გასროლა. 1. ტურ ჰეიესტადი (ნორვეგია) — 689 ქულა; 2. ხუან შიპინი (ჩილეთი) — 687; 3. გენადი ავრამენკო (სსრკ) — 686. **ვაჟები. პისტოლეტით ჩქარაოსნული სროლა, 30+30+10 გასროლა.** 1. აფანასი კუზმინი (სსრკ) — 698 ქულა; 2. რალფ შუმანი (გდრ) — 696; 3. ზოლტან კოვაჩი (უნგრეთი) — 693.

მძლეოსნობა. მარათონი. ქალები. 1. როსა მოტა (პორტუგალია) — 2:25.39; 2. ლიზა მარტინი (ავსტრალია) — 2:25.52; 3. კატრინ დორე (გდრ) — 2:26.20; 4. ტატიანა პოლოვინსკაია (სსრკ) — 2:27.04. **სპორტული სიარული 20 კმ-ზე. ვაჟები.** 1. იოზეფ პშიბილინეცი (ჩეხოსლოვაკია) — 1:19.57; 2. რონალდ ვაიგელი (გდრ) — 1:19.60; 3. მაურიციო დამილანო (იტალია) — 1:20.14; ...6 მიხეილ შჩენკოვი (სსრკ) — 1:20.47. **ბირთვი. ვაჟები.** 1. ულფ ტიმერმანი (გდრ) — 22,47 მ; 2. რენდი ბარნსი (აშშ) — 22,39, 3. ვერნერ გიუნტორი (შვეიცარია) — 21,99.

დღეს, 24 სექტემბერს...

ოლიმპიადაზე:

ასპარეზობას აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ცხენოსნები, ნიჩბოსნები (აკადემიური), მძლეოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები, აფროსნები, მოცურავეები, წყალში მხტომელები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, მოფარიკავეები, ფეხბურთელები, ჰოკეისტები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

ტყვიის სროლა. ვაჟები. პნევმატური პისტოლეტი, 60+10 გასროლა.

სასტენდო სროლა. მრგვალი სტენდი.

მძლეოსნობა. ქალები. შვიდჭიდი. **ვაჟები.** სამხტომი. რბენა 100 მ.

აკადემიური ნიჩბოსნობა. ქალები. ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით ორადგილიანი წყვილები. ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭოდ. **ვაჟები.** ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით. ორადგილიანი წყვილები. ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭოდ. ერთეულები.

ცურვა. ქალები. 200 მ, კომპლექსური ცურვა. 800 მ, თავისუფალი სტილი. 4X100 მ, კომბინირებული ესტაფეტა. **ვაჟები.** 200 მ, ბატერფლაი. 50 მ, თავისუფალი სტილი. 100 მ, გულაღმა.

სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები. ცალკეულ იარაღებზე პირველობა.

ძალოსნობა. 82,5 კგ.

ფარიკაობა. ვაჟები. დაშნა, პირადი პირველობა.

ველოსპორტი. ტრეკი. ქალები. სპრინტი. **ვაჟები.** სპრინტი. გუნდური რბოლა გამოდევნებით, 4 კმ. ჯგუფური რბოლა 150 წრეზე.

ციხეზე ეკრანზე:

12.00_14.30. აკადემიური ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, კრივი (2).

13.55_17.30. სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა (1).

18.55_22.00. მძლეოსნობა, ველოსპორტი, ოლიმპიადის დღიური (1).

22.50_02.15. ცურვა, ველოსპორტი, ძალოსნობა, ოლიმპიადის დღიური (1).

0.30_02.45. ფარიკაობა, ვაჟთა ფრენბურთი: სსრ კავშირი — შვეიცია (2).

ნაკრების საერთაშორისო მატჩი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართა სწორედ ამ ქვეყანაში, ეს გუნდები ერთმანეთს არ შეხვედრიან, ვინაიდან ისინი სხვადასხვა წინასწარ ჯგუფში იყვნენ მოხვედრილი, დასკვნით ეტაპზე კი მეტოქეებად მათ სხვა გუნდები ჰყავდათ. ამიტომაც 21 სექტემბრის **მატჩმა,** თუმცა იგი ამხანაგური იყო, დიდი ინტერესი გამოიწვია.

თამაში დამთავრდა გფრ-ის ნაკრების გამარჯვებით — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი 57-ზე საკუთარ კარში გაიტანა შმატოვალენკომ.

მეტოქეებმა თამაში ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: **გფრ** — ილგნერი, ჰერგეტი, როიტერი, კოლერი (ბუხვალდი), პფლუიგლერი (რაინჰარდი), როლფი, მიულერი, ჰერმანი, ლიტბარსკი, ტ. ალოფსი, ვაასი; **სსრ კავშირი** — ჩანოვი, ალეინიკოვი, შმატოვალენკო (სუკრისტოვი), კუზნეცოვი, დემიანენკო, ზიგმანტოვიჩი, ლიტოვჩენკო, ჩერენკოვი (რაცი), ბელანოვი, პროტასოვი, ბლოხინი (გოცმანოვი).

როგორც ხედავთ, ორივე გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა, კერძოდ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში კვლავ ითამაშა ბლოხინმა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ორივე გუნდის მწვრთნელებმა.

ვ. ლობანოვსკი (სსრ კავშირი): ეს შეხვედრა ჩვენი გუნდისთვის იმ თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, რომ მას სულ მალე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ექნება ავსტრიის გუნდთან. მატჩი ავსტრიელებთან 16 ოქტომბერს გვექნება, მანამდე კი ჩვენს გუნდს სხვა საკონტროლო თამაში დაგეგმილი არა აქვს. ჩემი აზრით, ჩვენმა ფეხბურთელებმა მეტოქეს შუა მინდორზე მოქმედების თავისუფლება მისცეს, ამიტომაც მასპინძლებს გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ.

ფ. ბეკენბაუერი (გფრ): ჩვენი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია, განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდებმა, ცხადია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი წარმატებით ითამაშებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავის რიგებში არ მიიწვევს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან.

იქმნება საფეხბურთო კავშირი

1989 წლიდან სსრ კავშირში და საქართველოშიც შეიქმნება საფეხბურთო კავშირი, რომელიც უხელმძღვანელებს სპორტის ამ ერთერთი ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარებასა და წინსვლას.

გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. მახარაძის ხელმძღვანელობით გაიმართა თათბირი, სადაც მომავალი კავშირის შექმნის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს წარმომადგენელი ა. პეჩატკინი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ფეხბურთის დარგის მუშაკებმა და სპეციალისტებმა.

შემუშავებულია ღონისძიებანი ამ კავშირის მომავალი დამფუძნებელი კონფერენციის ორგანიზაციისთვის.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380026, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-37-55,
სამდივნო — 93-37-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-37-53,
„შერანი" — 93-37-26, „მარადი" — 93-37-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380026, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდვა ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854